დამკვეთი: შ.პ.ს. „კ.კ.” (595 531 531)

საფუძველი: განცხადება 11.10.2013 №12/1328440-16

მისამართი: ქ. თბილისი, სოფელი დიღომი

საკ. კოდი: 01.72.14.034.591

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 28.07.2011წ. №01/2038 №6/2155-1

ობიექტი: არსებული სასაწყობე შენობის რეკონსტრუქცია და დაწყებული მშენებარე ობიექტის დასრულება **მესამე კლასი**

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (28.10.2013) დადგინდა:

საოფისე შენობა: შეცვლილია შიდა კიბეების კონფიგურაცია. მოწყობილია შიდა ლიფტი.

პირველი სართულზე „1-1” ღერძის გარეთ შეცვლილია საყრდენი კედლის გაბარიტი. დამატებულია გარე კიბის საფეხურები. „ბ-ბ” ღერძის გარეთ შემცირებულია ოთახის გაბარიტი 0.5მ-ით.

მესამე სართულზე „გ-გ” ღერძის გარეთ შეცვლილია შიდა კიბის კონფიგურაცია.

მანსარდის სართულზე „გ-გ” ღერძის გარეთ მოწყობილია ლითონის შიდა კიბე და კარი, რომელიც უკავშირდება სასაწყობე შენობას. დამატებულია ლითონის კონსტრუქციები.

ფასადებზე დამატებულია წყლის გადამყვანი მილები. შეფრქვეულია ცემენტის ხსნარი. გრუნტის ნიშნულები არ ემთხვევა საპროექტოს. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადის ფერი.

ფასადი „გ-ა”: პირველ სართულზე „ბ-ა” მონაკვეთში შეცვლილია კარის გაბარიტი და ნახატი. „გ-ბ” მონაკვეთში ფრამუგაზე დამატებულია გისოსი. მეორე სართულზე „გ-გ” ღერძის გარეთ ფანჯარაზე დამატებულია გისოსი. მანსარდის სართულზე „გ-გ” ღერძის გარეთ შემცირებულია ფანჯრის სიმაღლე 0.2მ-ით.

ფასადი „1-2”: „2-2” ღერძთან ფრამუგებს მონაცვლებული აქვს ადგილი. შეცვლილია და დამატებულია დეკორატიული ლესვის ხაზები. ფრამუგებზე დამატებულია გისოსები. შესასვლელ კართან არ არის მოწყობილი კიბის საფეხური. მანსარდის სართულზე შეცვლილია პერგოლების გაბარიტი. შეცვლილია მოაჯირის ნახატი. ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია მათი გაბარიტი. შემცირებულია გადახურვის სიმაღლე 0.2მ-ით.

ფასადი „ა-გ”: შეცვლილია მონაბლოკების გაბარიტი. მეორე სართულზე ღიობებზე დამატებულია გისოსები. საყრდენ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი.

სასაწყობე შენობა: საყარაულოს და საკუჭნაოს კედლები არ არის პარალელური. შეცვლილია მათი სახურავის კონფიგურაცია. ფანჯრებზე დამატებულია გისოსები. დამატებულია კონდიციონერი. „ბ-გ” მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი, გაბარიტი და კარის ტიპი, მოწყობილია სლაიდური კარი.

ფასადებზე დამატებულია წყლის შემკრები მილები. ფასადის ფერი ნაწილობრივ არ ემთხვევა საპროექტოს. გრუნტის ნიშნულები არ ემთხვევა საპროექტოს.

ფასადი „ა-გ”: დამატებულია ე.წ. „პწკალა.” შეცვლილია კარების ნახატები და გაბარიტები. არსებული სენდვიჩპანელების ნახატი არ ემთხვევა პროექტში ასახულს. სენდვიჩპანელები არ არის შეღებილი. შემცირებულია ბეტონპანის ფილების გაბარიტი. კედელი არ არის შეღებილი. „10-10” ღერძის გარეთ შეცვლილია მოაჯირის ნახატი და გაბარიტი.

ფასადი „10-1”: ფასადზე არ არის მოწყობილი გისოსები. ფანჯრებზე მინები ნაწილობრივ არ არის მოწყობილი.

„10-1” ფასადზე „1-1” ღერძთან დამატებულია საყრდენი კედელი.

ღობე ნაწილობრივ სცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

შეამოწმა: **კ. გიორგობიანმა**